



კლასი




მათემატიკური ოლიმპიადა

1) კატომ დაფაზე უმცირესი ორნიშნა რიცხვი დაწერა, ლადომ კი – უმცირესი კენტი ორნიშნა რიცხვი.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:


 ა) როგორი რიცხვი დაწერა ლადომ დაფაზე?
1) უმცირესი ორნიშნა 2) უმცირესი კენტი ორნიშნა 3) უმცირესი სამნიშნა


 ბ) როგორი რიცხვი დაწერა კატომ დაფაზე?
1) უმცირესი ორნიშნა 2) უმცირესი კენტი ორნიშნა 3) უმცირესი სამნიშნა


 გ) რას უდრის კატოსა და ლადოს მიერ დაწერილი რიცხვების ნამრავლი?
1) 21-ს 2) 100-ს 3) 110-ს

2) კლასში დაარიგეს 88 ცალი ფანქარი. თითოეულ ბიჭს 8 ცალი ფანქარი შეხვდა, ხოლო ყველა გოგონას ერთად 32 ფანქარი შეხვდა.


პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

 ა) სულ რამდენი ფანქარი დაარიგეს კლასში?
1) 32 ფანქარი 2) 56 ფანქარი 3) 88 ფანქარი

 ბ) რამდენი ფანქარი შეხვდა ყველა გოგონას ერთად?
1) 8 ფანქარი 2) 32 ფანქარი 3) 56 ფანქარი

 გ) რამდენი ფანქარი შეხვდა ყველა ბიჭს ერთად?
1) 32 ფანქარი 2) 56 ფანქარი 3) 88 ფანქარი

 დ) რამდენი ბიჭია კლასში?
1) 9 ბიჭი 2) 8 ბიჭი 3) 7 ბიჭი

 3) მაგიდაზე იდო ლურჯი ფანქარი, ყვითელი ფლომასტერი და წითელი პასტა. ნათიამ და დიმამ მაგიდიდან თითო-თითო ნივთი აიღეს. დიმას აღებული ნივთი წითლია. რა ფერია ნათიას აღებული ნივთი, თუ მაგიდაზე დარჩა ფანქარი?

1) ლურჯი 2) ყვითელი 3) წითელი